

ტერმინთა განმარტება

ა) **პროგრამა** – ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“;

ბ) **მეწარმე სუბიექტი** – პროგრამაში მონაწილეობის მიღების სურვილის მქონე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი), გარდა სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირებისა ან/და ამ უკანასკნელთა წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისა;

გ) **პროგრამის ბენეფიციარი** – მეწარმე სუბიექტი, რომელთანაც ამ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულება;

დ) **ჩაის პლანტაცია** – კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაშენებულია ჩაის ნარგაობა;

ე) **სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაცია** – ჩაის პლანტაცია, რომლის იდენტიფიცირება ხორციელდება ამ პროგრამით დადგენილი წესით და რომლის ნუსხაც ქვეყნდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – ქონების სააგენტო) ოფიციალურ ვებგვერდზე;

ვ) **სარეაბილიტაციო სამუშაოები** – ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის მიზნით განსახორციელებელი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელსაც შეიმუშავებს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად;

ზ) **აგროტექნოლოგიური გეგმა** – ჩაის პლანტაციაში სეზონურად/ყოველწლიურად ჩასატარებელი სამუშაოების შესაბამის აგროვადებში გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს რეაბილიტირებული ჩაის პლანტაციის სრულ მსხმოიარობამდე პერიოდს, მაგრამ არანაკლებ პროგრამის ბენეფიციართან თანადაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან 36 თვისა;

თ) **თანადაფინანსების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი** – პროგრამის ბენეფიციარის თანადაფინანსების ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი, თუ პროგრამის ბენეფიციარს (კოპერატივის შემთხვევაში ასევე კოპერატივს ან/და მის მეპაიეების საკუთრებაში აქვთ სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციის საჭირო მოცულობის მიწის ნაკვეთი) საკუთრებაში აქვს სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციის საჭირო მოცულობის მიწის ნაკვეთი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის ბენეფიციარს საკუთრებაში არ გააჩნია სარეაბილიტაციო ჩაის პლანტაციის საჭირო მოცულობის მიწის ნაკვეთი, ქონების სააგენტოსთან ამ პროგრამის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულების დადების თარიღი.